

კვლევისა და პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება**ნაზი ბერიკაშვილი**

გორის რაიონის სოფ. ტინისხიდის საჯარო სკოლის
ქართული ენისა და ლიტერატურის სერტიფიცირებული მასწავლებელი

ანოტაცია

სტატიაში განხილულია საგანმანათლებლო სისტემისა და სწავლა-სწავლების პროცესის ერთ-ერთი პრობლემატური საკითხი.

შესაბამის ლიტერატურასა და პირად პედაგოგიურ გამოცდილებაზე დაყრდნობით გაანალიზებულია პრობლემაზე დაფუძნებული სწავლებისას მოსწავლეთა მოტივაცია, მისი ჩართულობა საგაკვეთილო პროცესში. პრობლემის გადაჭრის ძირითადი სტრატეგიები, კრიტიკული აზროვნების ძირითადი მახასიათებლები: აქტივობის მიზანი, აქტივობის პირობა, პრობლემის გადაჭრის ეტაპები. კრიტიკული აზროვნება, როგორც პრობლემის გადაჭრის ერთ-ერთი ფორმა. თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენება ამ პროცესში, მისი დადებითი მხარეები და გამოწვევები ჭარბი ინფორმაციის გადამუშავების თვალსაზრისით.

საკვანძო სიტყვები: პრობლემაზე დაფუძნებული სწავლა, პროექტებზე დაფუძნებული სწავლება

განათლების ექსპერტები და სპეციალისტები ფიქრობენ იმ უნარებზე, რომელთა განვითარებაც მყარ საფუძველს ჩაუყრის მოსწავლის მიერ ღირებული ცოდნის მოპოვებას, წარმატებულ პროფესიულ საქმიანობასა და XXI საუკუნის საზოგადოების სრულფასოვან წევრად ჩამოყალიბებას.

აშშ-ში ჩამოყალიბდა XXI საუკუნის უნარების კონცეფცია, რომლის მიზანია, უზრუნველყოს მოსწავლის მზაობა ახალი საუკუნის ამოცანების განსახორციელებლად, თუ გამოწვევების დასაძლევად. ამ მიდგომაში გამოყოფენ XXI საუკუნის უნარების სამ კატეგორიას:

- 1) სწავლისა და ინოვაციების უნარები;
- 2) ინფორმაციის, მედიისა და ტექნოლოგიური უნარები;
- 3) ცხოვრებისა და კარიერის უნარები.

განვიხილავთ პირველ კატეგორიას, რომელშიც გამოიყოფა შემოქმედებითობა, კრიტიკული აზროვნება და პრობლემის გადაჭრა, კომუნიკაცია და კოლაბორაცია (თანამშრომლობითი სწავლება).

კრიტიკული აზროვნებისა და პრობლემის გადაჭრისათვის მოსწავლეებმა უნდა შეძლონ სწორად შეფასება და გადაწყვეტილებების მიღება, ეფექტურად უნდა გაანალიზონ და შეაფასონ არგუმენტები, მტკიცებები და წარმოდგენები, ალტერნატიული თვალთახედვები, მოახდინონ ინფორმაციისა და არგუმენტების დაკავშირება და სინთეზირება, სხვადასხვა ტიპის პრობლემის გადაჭრა როგორც აღიარებული, ასევე ინოვაციური მეთოდებით, უნდა გამოკვეთონ მნიშვნელოვანი შეკითხვები, რომლებიც ცხადყოფენ არგუმენტებს და ხელს უწყობენ პრობლემის გადაწყვეტას.

ეფექტური გუნდური მუშაობის, პრობლემის გადაჭრისა და კოლაბორაციული სწავლების განვითარება და მართვა, დანიერ გოულმანის სიტყვებით, მაღალი ხარისხის ემოციურ ინტელექტს მოითხოვს, რომლის 5 ძირითადი კომპეტენციაა:

- 1) იცოდე და შეგეძლოს საკუთარი ემოციების გამოხატვა;
- 2) სხვისი ემოციების მიმართ თანაგრძნობის გამოჩენა;
- 3) ემოციების გაკონტროლება და რეგულირება;
- 4) საკუთარი თავისა და სხვების მოტივირების უნარი;

5) სოციალური უნარ-ჩვევების ფლობა, რომელთა მეშვეობითაც პირველი ოთხი კომპეტენციის ქმედებაში მოყვანა შეიძლება.

პრობლემის გადაჭრა გონებრივი აქტივობაა, რომელიც არადადამაკმაყოფილებელი მდგომარეობითაა გამოწვეული და სასურველი „სამიზნე მდგომარეობის“ მიღწევასკენაა მიმართული. ადამიანი აგებს და ხვეწს პრობლემური სიტუაციის „მოდელებს“. პრობლემის გადაჭრის ამოცანის წინაშე დადგომისას, ადამიანი არსებულ მდგომარეობას აანალიზებს, გამოავლენს შემზღვეველ ფაქტორებს, აგროვებს ინფორმაციას, აყალიბებს ერთ ან მეტ ჰიპოთეზას და საბოლოო მიზნის მიღწევამდე ამოწმებს მას.

პრობლემის წარმოდგენა ისეთი არგუმენტის ან განაცხადის სახით შეიძლება, რომელიც სრულყოფილად მოიცავს ხელმისაწვდომ ინფორმაციას. არგუმენტის დადასტურება ან შემოწმება შეუძლებელია იმის მიუხედავად, თუ როგორია მისი არსი: იქნება ის ლიტერატურული ან ხელოვნების ნიმუშის ინტერპრეტაცია პოზიცია სადავო საკითხთან დაკავშირებით, თუ რთული პრობლემის გადაჭრასთან დაკავშირებული წინადადება. ამდენად, აუცილებელია, არგუმენტი სათანადო მსჯელობითა და ფაქტებით იყოს გამყარებული.

პრობლემაზე დაფუძნებული სწავლა პირველად გამოიყენეს კანადელმა სპეციალისტებმა. კვლევები ადასტურებს, რომ ამ მიდგომით განათლებამიღებული მოსწავლეები წარმატებებს აღწევენ პროფესიულ ცხოვრებაშიც და აკადემიურ სფეროშიც. მას ახასიათებს სამი ძირითადი ასპექტი:

- 1) სწავლა ეყრდნობა ღიად დასმულ პრობლემურ შეკითხვებს;
- 2) მოსწავლეები მუშაობენ მცირე ჯგუფებში;
- 3) მასწავლებელი არის „ფასილიტატორის“ როლში, რის შედეგადაც მოსწავლე

იღებს მეტ პიროვნულ პასუხისმგებლობას საკუთარ სწავლაზე და ხდება აქტიური შემმეცნებელი (ჯანაშია, 2008, 5).

ეროვნული სასწავლო გეგმის ძირითადი მიზანია პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება სხვადასხვა საგნით მიღებული ცოდნისა და უნარ-ჩვევების ინტეგრირებით.

პრობლემაზე დაფუძნებული სწავლებისას იზრდება მოსწავლის მოტივაცია, რადგან მოსწავლე ახალ ცოდნას იძენს გამიზნულად, იგი ავითარებს ჯგუფური მუშაობისა და თანამშრომლობის უნარ-ჩვევებს, კრიტიკული აზროვნებისა და კომუნიკაციის უნარს (გიუნაშვილი, კოკილაშვილი, 2010:106).

დასმული პრობლემა მოსწავლეებს უბიძგებს მოიძიონ და შეიძინონ ახალი ცოდნა, ერთადერთი სწორი პასუხის მოძებნის სანაცვლოდ მოახდინონ დასმული პრობლემის ინტერპრეტირება, მოაგროვონ საჭირო ინფორმაცია, ააგონ მოდელი, გამოთქვან

ვარაუდი, შეაფასონ და შეადარონ შესაძლო შედეგები და გააკეთონ დასკვნები. ამ პროცესში ცოდნის შექმნა ხდება ევრისტიკულად.

პრობლემა არსებობს მაშინ, როცა მოსწავლე გამოთქვამს დაინტერესებას, ავლენს ცნობისმოყვარეობას და არ იცის, როგორ გადაჭრას რაიმე საკითხი.

ფსიქოლოგიაში პრობლემის გადაჭრის პროცესებს აღწერენ ციკლის საშუალებით (ჯანაშია, 2008:14), რომელიც შედგება შემდეგი ეტაპებისაგან:

1. პრობლემის მოძებნა და განსაზღვრა, რაც გულისხმობს შეკითხვების დასმას, პრობლემების დანაწევრებასა და პრიორიტეტის მიხედვით დალაგებას;

2. პრობლემის ჩამოყალიბება და წარმოდგენა - საწყისი და საბოლოო საფეხურის, აღწერა და ვიზუალურად, ან ვერბალურად წარმოდგენა;

3. პრობლემის შესახებ ინფორმაციისა და რესურსების ორგანიზება და ცოდნის მობილიზება. მოსწავლემ უნდა მოახერხოს პრობლემის გადაქცევა ამოცანად, გამოჯნოს, რა არის ცნობილი და რა საძიებელი, ინფორმაციის შეგროვების სხვადასხვა მეთოდის გამოყენება;

4. შესაძლო ალტერნატივების ან გადაჭრის გზების მოძიება.

მოსწავლეს შეუძლია ყოველგვარი კრიტიკის გარეშე წარმოაჩინოს ყველა ორიგინალური იდეა, არასტერეოტიპული ანალოგია და ასოციაცია;

5. პრობლემის გადაჭრის სტრატეგიების შერჩევა.

მოსწავლემ უნდა შეძლოს:

პრობლემის გადაჭრის შესაძლო გზების შეფასება სხვადასხვა პერსპექტივიდან, რისკის განსაზღვრა, მისაღები სტრატეგიის შერჩევა და მისი დამაჯერებლობის დასაბუთება;

6. შერჩეული სტრატეგიის განხორციელება და პროგრესზე დაკვირვება.

მოსწავლემ უნდა შეძლოს პრობლემის გადაჭრის სამოქმედო გეგმის შემუშავება, შესაბამისი ინდიკატორების განსაზღვრა, ამ გეგმის სხვისთვის გაზიარება და ცვლილებების შეტანა;

7. შედეგების შემოწმება და შეფასება.

მოსწავლემ უნდა განახორციელოს ინდიკატორების შემოწმება, რამდენად რეალური იყო გეგმა და შეაფასოს ახალი ცოდნა და უნარ-ჩვევები.

პრობლემაზე დაფუძნებული სწავლებისას მოსწავლე აწყდება პრობლემას, რომლის გადაჭრაც მას უჭირს მხოლოდ იმ ცოდნით, რაც აქვს, ამ პროცესში იგი აქტიურია, ეძებს საჭირო ინფორმაციას - წიგნებს, გამოკვლევებს, ელექტრონულ ინფორმაციას და ახალი ცოდნაშემქნილი უბრუნდება პრობლემას და ახერხებს მის გადაჭრას.

პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება საუკეთესო საშუალებაა, მოსწავლეს ვასწავლოთ აზროვნება აზროვნების შესახებ (მეტაკოგნიცია), რომელიც მოიცავს: პრობლემის არსებობის აღიარებას, გაცნობიერებას, სტრატეგიის არჩევას, გონებრივი რესურსების განაწილებას, პრობლემის გადაწყვეტის მსვლელობის კონტროლსა და ეფექტიანობის შეფასებას. როდესაც მეტაკოგნიცია ეხება საკუთარი სწავლის პროცესების გაცნობიერებას, ხდება სწავლა - მოსწავლის მიერ საკუთარი სწავლის მართვა, რომელიც მოიცავს სწავლის დაგეგმვას, შეფასებასა და მუდმივ მონიტორინგს.

პროფესიონალ მასწავლებელს უნდა შეეძლოს თავისი პროფესიული შესაძლებლობების სწორად შეფასება. მან უნდა იცოდეს, რომელ სფეროებში არის

კომპეტენტური და რომელ სფეროში სჭირდება უფრო გამოცდილი კოლეგის რჩევა. კრიტიკა უნდა მიიღოს როგორც სასარგებლო რამ და არა, როგორც პიროვნული თავდასხმა. მკაფიოდ უნდა ხედავდეს განსხვავებას საკუთარ იდენტობასა და პროფესიულ როლს შორის (თერნბული, 2009:15).

მასწავლებლებისათვის მუდმივი პრობლემაა ტრადიციულ საგანმანათლებლო პრინციპებსა (დიდი რაოდენობით ფაქტების ცოდნა, დაზეპირებული მასალის ზუსტად გახსენება, სტანდარტული მეთოდების ზუსტი გამოყენება) და შემოქმედებითობაზე ორიენტირებულ პრინციპებს (მაგ. პრობლემის აღმოჩენა, მოულოდნელ კითხვებზე პასუხების გაცემა, ტრადიციულად იზოლირებული სფეროების დაკავშირება) შორის ჭიდილი (კროპლი, 2010:149).

პროექტებზე დაფუძნებული სწავლება ახლოა იმ მიდგომასთან, რასაც თანამედროვე საგანმანათლებლო თეორიებში პრობლემაზე ორიენტირებულ სწავლებას უწოდებენ. მისი ერთ-ერთი უმთავრესი მიღწევა ინტერაქტიულობის მაღალი ხარისხია. მოსწავლეთა გააქტიურება და სასწავლო პროცესში მართვის დამოუკიდებლობის მინიჭება ზრდის მათ პასუხისმგებლობას და უვითარებს თანამშრომლობით, კვლევით და ანალიზურ უნარებს. ისინი არჩევანის გაკეთებასა და გადაწყვეტილების მიღებას სწავლობენ. ამდენად, პრობლემის მართვა, პროექტის დიზაინი და კვლევა-ძიების პროცესისი სადავეები მათ ხელშია. ყოველივე აღნიშნული მოსწავლეს სოციალურ, ემოციურ, ესთეტიკურ, კოგნიტურ უნარებს, ფიზიკურ და მორალურ მხარეებს უვითარებს. მოსწავლეთა დაინტერესებისა და მოტივირებისათვის მასწავლებლის მხრიდან საუკეთესო გამოსავალია სასწავლო პროექტებში მათი დაკავება.

წარმატებული სასკოლო პროექტის ინდიკატორად, კვლევის პროცესის გვერდით, პროექტის პროდუქტი მოიაზრება, რომელიც პრობლემის რაობას წარმოაჩენს და კვლევის უნიკალური მეთოდებს შემოგვთავაზებს, ამავე დროს პროექტის პროდუქტი მორგებული უნდა იყოს მოზარდების გემოვნების, ინტერესების სფეროს და წარმოდგენილი იყოს მათთვის სასურველი ფორმატით.

პროექტზე დაფუძნებული სწავლება ხელს უწყობს წინარე ცოდნაზე ახლის დაშენებასა და დისციპლინათაშორისი გამოცდილებების გამთლიანებას. პრობლემა, რომელიც მოსწავლეთა კვლევის ფოკუსში ექცევა, შემოიფარგლება არა ერთი საგნის დისციპლინური ცოდნით, არამედ სხვადასხვა საგნობრივ გამოცდილებებს გადაკვეთს.

მსოფლიო განვითარებული ქვეყნების საგანმანათლებლო პროაქტივაში განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს იმ სისტემაში, სადაც საგნობრივი ინტეგრაციის დიდი გამოცდილება არსებობს.

პროექტებზე დაფუძნებული სწავლა განსაკუთრებით ხელსაყრელია ტერიტორიულად ახლომდებარე სკოლებისათვის. დავალებები შეიძლება იყოს მოკლევადიანი ან გრძელვადიანი. დავალების ეფექტური ფორმები შეიძლება იყოს: ერთობლივი და შედარებითი კვლევები, ერთობლივი პრეზენტაციები, ერთობლივი ვიზიტები მუზეუმებში, არქეოლოგიური გათხრების ადგილებში, ლაბორატორიებში, სამეცნიერო დაწესებულებებსა და ა. შ.

იმისათვის, რომ სკოლებმა ეფექტურად ითანამშრომლონ, აუცილებელია:

ა) თანამშრომლობის დეტალურად გაწერილი გეგმის შედგენა, რომელიც წინასწარ შეთანხმებულ მიზნებსა და ღირებულებებს დაეფუძნება;

ბ) თანამშრომლობის ქსელში ჩართულ სკოლებს შორის კომუნიკაციის სტანდარტების შემუშავება;

გ) თითოეული ჩართული მხარის თანაბარი პასუხისმგებლობა და მონაწილეობა;

დ) თანამშრომლობის შედეგების შეფასების გეგმის შემუშავება;

ე) წარმატების კრიტერიუმების დადგენა თანამშრომლობის დაგეგმვის ეტაპზე.

პრობლემაზე დაფუძნებული სწავლების დადებითი მხარეებიდან შეიძლება გამოვყოთ:

ა) ეს მოდელი ავითარებს ზედა დონის სააზროვნო უნარ-ჩვევებს (ბლუმის მიხედვით - ანალიზი, სინთეზი და შეფასება), კრიტიკული და სამეცნიერო აზროვნების უნარ-ჩვევებს;

ბ) იძლევა თეორიისა და პრაქტიკის გამთლიანების შესაძლებლობას. მოსწავლეს აძლევს არსებულ ცოდნასთან ახალი ცოდნის შერწყმისა და კონკრეტულ საგანში მსჯელობის უნარ-ჩვევებს;

გ) მოსწავლეები სწავლობენ დროის მართვას, ამოცანაზე კონცენტრირებას, მონაცემების შეგროვებას, ანგარიშის მომზადებასა და შეფასებას;

დ) მოსწავლეებს უვითარებს სწავლის უნარ-ჩვევებს, რითაც მას მთელი ცხოვრების განმავლობაში შეუძლია „უწყვეტი განათლების“ მიღება.

თანამშრომლობა მხოლოდ მაშინ არის ეფექტური, თუ სკოლებსა და მონაწილე ჯგუფებს აქვთ საკმარისი მოტივაცია და დამატებითი ფუნქციების შესრულების შესაძლებლობა. კვლევებმა აჩვენა, რომ თანამშრომლობის შედეგები გაცილებით მაღალია იმ სკოლებში, სადაც თანამშრომლობის ინიციატივა სკოლისაგან, ან შესაბამისი მონაწილე ჯგუფისაგან მოდის და არ არის განპირობებული გარე ზეწოლით.

სწორედ ასეთი პროექტი განახორციელეს ტინისხიდისა და ახალდაბის საჯარო სკოლების II და III საფეხურის მოსწავლეებმა, რომელთაც პირადი სურვილით შეისწავლეს საკუთარი სოფლების ისტორია, მისი წარსული და აწმყო. სკოლათაშორის პროექტზე „ნორჩი მემატთანე“ მუშაობა გრძელდებოდა ორი თვის განმავლობაში, რომლის დასრულებისთანავე ჩატარდა კონფერენცია ტინისხიდის საჯარო სკოლაში. ორივე სკოლის მოსწავლეებმა წამოჭრილი პრობლემები გაითავისეს, წარმატებით გაართვეს თავი დასახულ მიზნებს და მეტ-ნაკლებად მიაღწიეს იმ მოსალოდნელ შედეგებს, რასაც პროექტის ხელმძღვანელები ვგეგმავდით.

ლიტერატურა

1. გიუნაშვილი ზაქარია, კოკილაშვილი ლაშა. ცოდნის კონსტრუირება პრობლემის გადაჭრაზე დაფუძნებული სწავლებისას, კრებულში: „დიალოგი+ალმანახი“, სტატიების კრებული 2009-2010, ტ. II, თბ., 2010;
2. თერნული ჯეკი. პროფესიონალი მასწავლებლის 9 მახასიათებელი, თბ., 2009;
3. კროპლი არტურ, კროპლი დევიდ, შემოქმედებითობის სტიმულირება შეფასების მეშვეობით, კრებულში: სტატიები განათლების საკითხებზე, თბ., 2010;
4. ჯანაშია ს., სამაგლიშვილი შ., წერეთელი მ. და სხვ., პრობლემაზე დაფუძნებული სწავლა, ნაწილი II, თბ., 2008.